პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

26 ივნისი ოთხშაბათი 1968

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 49-ე წელი • № 147 (14143)

გუშინ მოსკოვში მუშაობა დაიწყო სსრ კავშირის მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიამ

დღის წესრიგში ადამიანის ჯანმრთელობა

სსრ კავშირის მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია

ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში 25 ივნისს მუშაობა დაიწყო სსრ კავშირის მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიამ. ასრულებენ რა თავიანთ ამომრჩეველთა განაწესებს, ხალხის წარმომადგენლებს ქვეყნის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს განსახილველად გამოაქვთ საარსებო მნიშვნელობის საკითხები, სახავენ მომავლის გეგმებს.

საკმარისია თვალი გადავავლოთ ახლანდელი სესიის დღის წესრიგს, რომელიც უხუცესთა საბჭომ განიხილა, რომ ერთხელ კიდევ დავრწმუნდეთ, რა თანმიმდევრულად ხორციელდება სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებანი. საკითხები ჯანმრთელობის დაცვის შემდგომი გაუჯობესებისა, რომელიც უკვე ახლა სჯობნის მასშტაბითა და მისაწვდომობით ყოველი კაპიტალისტური ქვეყნის ჯანმრთელობის დაცვის სისტემას, ადამიანისადმი სახელმწიფოს ყურადღების ახალი შესანიშნავი დადასტურებაა.

განსახილველი კანონმდებლობა ქორწინებისა და ოჯახის შესახებ მოწოდებულია აქტიურად შეუწყოს ხელი კომუნისტური ოჯახის შექმნას. საგულისხმოა, რომ კანონმდებლობის საფუძვლების პროექტი სესიამდე ფართოდ იყო განხილული პრესის ფურცლებზე. სურვილები და შენიშვნები გამოთქვა ათასობით საბჭოთა ადამიანმა.

მშვიდობისათვის ბრძოლა საბჭოთა ადამიანების — შემოქმედი, აღმშენებელი ადამიანების მთავარი საზრუნავია. სწორედ ამიტომ განიხილავენ სესიაზე საბჭოთა მთავრობის საგარეო პოლიტიკას.

დილის 10 საათზე კრემლის ყრილობათა სასახლეში კავშირის საბჭოს თავმჯდომარის **ი. ვ. სპირიდონოვის** თავმჯდომარეობით გაიმართა **კავშირის საბჭოს** სხდომა. სხდომის მონაწილეებმა ფეხზე ადგომით სცეს პატივი კავშირის საბჭოს დეპუტატების — ს. ა. კოვპაკის, გ. ი. კოზლოვის, ვ. დ. სოკოლოვსკის ხსოვნას, რომლებიც გარდაიცვალნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის შემდეგ.

კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის **ი. ი. პალეციკისის** თავმჯდომარეობით გაიხსნა **ეროვნებათა საბჭოს** სხდომა.

სხდომის მონაწილეებმა ფეხზე ადგომით სცეს პატივი ეროვნებათა საბჭოს გარდაცვლილი დეპუტატების — ი. ა. გაგარინის, ს. ე. ზორიანის, ვ. ი. კოზლოვისა და კ. პ. ორლოვსკის ხსოვნას.

პალატების ცალცალკე სხდომებზე მოისმინეს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს სამანდატო კომისიების მოხსენებანი ახლად არჩეული დეპუტატების რწმუნებათა შემოწმების შესახებ. შემდეგ დამტკიცებულ იქნა სესიის დღის წესრიგი:

1. სსრ კავშირის მოსახლეობის სამედიცინო დახმარების მდგომარეობა და ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესების ღონისძიებანი.

2. საფუძვლები სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობისა ქორწინების და ოჯახის შესახებ — პროექტი.

3. საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა და საგარეო პოლიტიკა.

4. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება.

11 საათსა და 30 წუთზე კრემლის ყრილობათა სასახლეში ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის დეპუტატ **ი. ი. პალეციკისის** თავმჯდომარეობით დაიწყო კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომა.

შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ ამხანაგებს **ლ. ი. ბრეჟნევს, გ. ი. ვორონოვს, ა. პ. კირილენკოს, ა. ნ. კოსიგინს, კ. ტ. მაზუროვს, ა. ი. პელშეს, ნ. ვ. პოდგორნის, მ. ა. სუსლოვს, ა. ნ. შელეპინს, პ. ე. შელესტს, ვ. ვ. გრიშინს, პ. ნ. დემიჩევს, დ. ა. კუნაევს, პ. მ. მაშეროვს, ვ. პ. მჟავანაძეს, შ. რ. რაშიდოვს, დ. თ. უსტინოვს, ვ. ვ. შჩერბიცკის, კ. თ. კატუშევს, თ. დ. კულაკოვს, ბ. ნ. პონომარიოვს, მ. ს. სოლომენცევს,** აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეებს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრებს, სსრ კავშირის მთავრობის წევრებს.

ლოჟებში სხედან სსრ კავშირში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები.

სესიას ბევრი სტუმარი ესწრება.

დეპუტატ პ. მ. მაშეროვის წინადადებით, რომელიც გამოვიდა ბელორუსიის სს რესპუბლიკისაგან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა სახელით, სესიამ ერთსულოვნად აირჩია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილედ **ს. ო. პრიტიცკი** — ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

მოხსენება დღის წესრიგის პირველ საკითხზე „სსრ კავშირის მოსახლეობის სამედიცინო დახმარების მდგომარეობა და ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესების ღონისძიებანი" გააკეთა სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა დეპუტატმა **ბ. ვ. პეტროვსკიმ.**

(საკდესი).

ინდოეთის პარლამენტარები სტუმრად საქართველოში

25 ივნისს თბილისში ჩამოვიდა ინდოეთის პარლამენტის დელეგაცია, რომელიც საბჭოთა კავშირში ოფიციალური მეგობრული ვიზიტით იმყოფება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევით. დელეგაციას მეთაურობს სახალხო პალატის თავმჯდომარე დოქტორი **ნ. სანჯივა რედი.**

დელეგაციის შემადგენლობაში არიან სახალხო პალატის წევრი, ეროვნული კონგრესის პარტიის წევრი **ბ. ანჯანაპა,** სახალხო პალატის წევრი, კომუნისტური პარტიის წევრი **ჰ. ნ. მუკერჯი,** სახალხო პალატის წევრი, გაერთიანებული სოციალისტური პარტიის წევრი **რაბი რეი,** სახალხო პალატის წევრი, ეროვნული კონგრესის პარტიის წევრი **ს. სუპაკარი,** შტატების საბჭოს წევრი, ჯან სანგჰის პარტიის წევრი **დ. თხენგარი,** შტატების საბჭოს წევრი, ეროვნული კონგრესის პარტიის წევრი **შილ ბჰადრა იაჯი,** შტატების საბჭოს მდივანი, დელეგაციის მდივანი **ბ. ნ. ბანერჯი** და ინდოეთის რესპუბლიკის მოსკოვის საელჩოს პირველი მდივანი **ლ. ლ. მეჰროტრა.**

თბილისის აეროპორტში, რომელიც ინდოეთის რესპუბლიკას, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ალმებით იყო მორთული, მეგობარი ქვეყნის წარმომადგენლებს შეხვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე **რ. რ. დვალი,** სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი **ა. ბ. ჩაკოვსკი,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ვ. მ. სირაძე,** რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. ა. კვაჭაძე,** რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **რ. ა. ჯაფარიძე,** საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი **ა. ა. გიგოშვილი,** რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები **მ. ე. თოფურიძე, ო. ვ. თაქთაქიშვილი, გ. ნ. ჯიბლაძე, გ. შ. მიქელაძე, ვ. ა. ჩოფიკაშვილი, პ. გ. გელბახიანი, ვ. ი. ჭიაურელი,** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საქმეთა მმართველი **მ. ა. ჭიკინაძე,** საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები, პრესის, რადიოსა და ტელევიზიის მუშაკები.

ინდოეთის პარლამენტარებს გულითადად მიესალმა რ. რ. დვალი.

ხანმოკლე შესვენების შემდეგ ინდოელი პარლამენტარები ეწვივნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეს **მ. მ. ლელაშვილს.**

საღამოს სტუმრებმა დაათვალიერეს თბილისის ღირსშესანიშნაობანი, მათ უჩვენეს სტუდია „საქართველო ფილმის" კინოფილმები.

ინდოელი პარლამენტარები საქართველოში 27 ივნისამდე დაჰყოფენ. (საქდესი).

ინდოელი პარლამენტარები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეს მ. მ. ლელაშვილს

თბილისში ჩამოსული ინდოეთის პარლამენტის დელეგაცია, რომელსაც სახალხო პალატის თავმჯდომარე დოქტორი **ნ. სანჯივა რედი** მეთაურობს, 25 ივნისს ნაშუადღევს ეწვია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს **მ. მ. ლელაშვილს.**

ვიზიტის დროს იყვნენ სახალხო პალატის წევრები **ბ. ანჯანაპა, ჰ. ნ. მუკერჯი, რაბი რეი, ს. სუპაკარი,** შტატების საბჭოს წევრები **დ. თხენგარი, შილ ბჰადრა იაჯი,** შტატების საბჭოს მდივანი **ბ. ნ. ბანერჯი** და ინდოეთის რესპუბლიკის მოსკოვის საელჩოს პირველი მდივანი **ლ. ლ. მეჰროტრა.**

საბჭოთა კავშირის მხრივ იყვნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი **ა. ბ. ჩაკოვსკი,** რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. ა. კვაჭაძე,** საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი **ა. ა. გიგოშვილი,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე **დ. ვ. კეშელავა,** რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრის პირველი მოადგილე **ვ. ს. ტრაპაიძე,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის თავმჯდომარე **მ. ა. ლომაძე,** თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ვ. ა. ჩოფიკაშვილი** და სხვ.

გულთბილი, გულითადი საუბრის დროს **მ. მ. ლელაშვილმა** დაწვრილებით გააცნო სტუმრებს რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს საქმიანობა, საქართველოს სახელმწიფო წყობილება, გულწრფელად უსურვა თავისუფლებისმოყვარე ინდოელ ხალხს წარმატებანი ბედნიერი ცხოვრების შენებლობაში.

დოქტორმა **ნ. სანჯივა რედიმ** მადლობა გადაიხადა მეგობრული სურვილებისათვის და გამოთქვა რწმენა, რომ ინდოეთის პარლამენტის დელეგაციის ვიზიტი საბჭოთა კავშირში კიდევ უფრო განმტკიცებს ორი ქვეყნის მეგობრობას.

(საქდესი).

ნოგათები საპშოგლოს

● **ლაგოდეხის** რაიონის მეაბრეშუმეებმა წარმატებას მიაღწიეს. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.520 ცენტნერისა, სახელმწიფოს მიეყიდა 1.635 ცენტნერი აბრეშუმის პარკი. აბრეშუმის პარკის წარმოებისა და დამზადების საქმეში თავი ისახელეს აფენის კოლმეურნეობა „საქართველოს", ჭაბუკიანის ი. ჭავჭავაძის სახელობის, ბაისუბნის „წინსვლის", ორჯონიკიძის რუსთაველის, კაბლის კომინტერნის, განჯალას კიროვის სახელობის კოლმეურნეობებმა. პარკის დამზადება გრძელდება, — აცნობეს რედაქციას პარტიის ლაგოდეხის რაიკომის პირველმა მდივანმა **ვ. უნგიპაძემ,** რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **ა. რეხვიაშვილმა,** სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა **ბ. კაკალაშვილმა.**

● **ხობის** რაიონის მეაბრეშუმეებმა ვადაზე ადრე შეასრულეს აბრეშუმის პარკის დამზადების წლიური გეგმა. ნაცვლად 1.250 ცენტნერისა დამზადებულია 1.265 ცენტნერი აბრეშუმის პარკი. ეს აცნობეს რედაქციას პარტიის ხობის რაიკომის პირველმა მდივანმა **ა. ნურწუმამ,** რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **ვ. ბერაიამ.**

● **საქართველოს** კპ მცხეთის რაიკომის პირველმა მდივანმა **ბ. კაკაბაძეშვილმა,** რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **ბ. ლაშხმა,** სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა **ა. რაზმაძემ** „კომუნისტის" რედაქციას აცნობეს, რომ მცხეთის რაიონის მშრომელებმა სახელმწიფოს მიჰყიდეს 1.825 ცენტნერი ხორცი ნაცვლად ნახევარი წლის გეგმით გათვალისწინებული 1.620 ცენტნერისა, 9.311 ცენტნერი რძე ნაცვლად 7.760 ცენტნერისა, 109 ათასი ცალი კვერცხი ნაცვლად 95 ათასი ცალისა. დიდი გადატარებები შესრულდა აგრეთვე სახელმწიფოსათვის მატყლის მიყიდვის ნახევარი წლის გეგმა.

ხუთწლედი — ვადამდე!

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის

კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა სრულიად საკავშირო დათვალიერება

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად მოეწყოს პროფკავშირთა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების სრულიად საკავშირო დათვალიერება — ასეთი დადგენილება მიიღო საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა.

დათვალიერების შედეგები შეჯამდება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის. გამარჯვებულთათვის დაწესებულია საკავშირო პროფსაბჭოს დიპლომები და ფულადი პრემიები. (საკდესის კორ.).

საპატიო სიგელები გაზეთებს

მიმდინარე წელს სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირმა და საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარმა პოლიტიკურმა სამმართველომ მოაწყეს პრესის, რადიოსა და ტელევიზიის კონკურსი სამხედრო-პატრიოტული თემის უკეთ გაშუქებისათვის. კონკურსის დევიზი იყო: „ხალხისა და არმიის ერთიანობა".

როგორც ადრე ვიუწყებოდით, ამ კონკურსში შესაბამისად პირველ და მესამე პრემია მოიპოვეს გაზეთებმა „**ზარია ვოსტოკამ**" და „**სახბჭოთა აჭარამ**".

ახლა დამატებით მოვიდა ცნობა, რომ სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირისა და საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარ პოლიტიკურ სამმართველოს საპატიო სიგელებით დაჯილდრდა კონკურსის მონაწილე კიდევ სამი პერიოდული ორგანო: ქუთაისის საქალაქო გაზეთი „**ქუთაისი**", რესპუბლიკური ახალგაზრდული გაზეთი „**მოლოდიოჟ გრუზიი**" და რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მრავალტირაჟიანი გაზეთი „**მეტალურგი**".

28 ივნისს თბილისში გაიმართება

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმი

საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის

სამდივნოს მონაწილეობით, მიძღვნილი

მაქსიმ გორკის

დაბადების 100 წლისთავისადმი

მასპინძელია საქართველო

რამდენიმე დღის წინათ თბომავალმა „გოგოლმა" ქალაქ გორკში ჩაიყვანა საბჭოთა და უცხოელ მწერალთა დიდი ჯგუფი. რუსეთის დედამდინარის ვოლგის ნაპირზე შეიკრიბნენ მაქსიმ გორკის თანამემამულენი, რომლებმაც გულთბილი შეხვედრა მოუწყეს მრავალრიცხოვან სტუმრებს.

ქ. გორკში გაიმართა საბჭოთა კავშირისა და რსფსრ მწერალთა კავშირის გამგეობის გაერთიანებული პლენუმი, რომელმაც საზეიმო ვითარებაში ჩაიარა. განხილულ იქნა საკითხი „მაქსიმ გორკი და თანამედროვე ლიტერატურა". შემოქმედებითი სჯა-ბაასის ვითარებაში, გულთბილობის ატმოსფეროში მიმდინარეობდა შეხვედრები ვოლგის ნაპირზე.

ამ დიდი დღესასწაულის მონაწილენი ახლა თბილისისაკენ გამოემართებიან. გენიალური რუსი მწერლის მაქსიმ გორკის სახელი განსაკუთრებით ძვირფასია ქართველი ხალხისათვის. თბილისში მოხდა ჭაბუკი პეშკოვის სვეტდნიერი ლიტერატურული ნაფლობა. პირველად გაზეთ „კავკაზში" 1892 წელს დაისტამბა მისი შესანიშნავი „მაკარ ჩუდრა", შემდეგ უკვე სახელმოხვეჭილი მწერალი სიყვარულით წერდა: „მე არასოდეს არ მავიწყდება, რომ სწორედ ამ ქალაქში გადავდგი პირველი გაუბედავი ნაბიჯი იმ გზაზე, რომლითაც მივდივარ აგერ უკვე მეოთხე ათეული წელია. შეიძლება ითქვას, რომ ამ ქვეყნის ულამაზესმა გუნებამ და მისი ხალხის რომანტიკულმა სიფაქიზემ, სწორედ ამ ორმა ძალამ მოგცა ბიძგი, რამაც მოხეტიალიდან ლიტერატორი გამხადა".

გვესაუბრება საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი

გრიგოლ აბაშიძე

ჩვენს დედაქალაქში 28-დან 30 ივნისამდე ეწყობა დიდი პროლეტარული მწერლის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი დღეები.

საქართველოში მ. გორკის დღეებთან დაკავშირებით ჩამოვლენ მწერლები, პოეტები, ლიტერატურათმცოდნეები უნგრეთიდან, პოლონეთიდან, ბულგარეთიდან, რუმინეთიდან, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკიდან, ჩეხოსლოვაკიიდან და სხვ., აგრეთვე სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივნები (სულ დაახლოებით 60 კაცი).

28 ივნისს გაიმართება საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის კლენუმი საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის სამდივნოს მონაწილეობით. „მაქსიმ გორკი — ხალხთა მეგობრობის მქადაგებელი", — ასეთია პლენუმის მთავარი საკითხი.

საპატიო სტუმრები საღამოს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში დაესწრებიან მ. გორკის პიესას „მდაბიონი", რომელსაც დგამს საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი გ. ტოვსტონოგოვი.

29 ივნისს თბილისის ორთქლმავალ-ჯაგოშვილეთელი ქარხანა მასპინძლობას გაუწევს გორკის დღეების მონაწილეებს. სწორედ ამ უძველეს საწარმოში მუშაობდა ჭაბუკი პეშკოვი — შემდეგში დიდი გორკი.

სტუმრები ეწვევიან ქ. რუსთავს, სახელმწიფო თეატრის სცენაზე წარმოდგენილი იქნება მ. გორკის პიესა „ფსკერზე". თეატრის ახალგაზრდა კოლექტივმა ამ ღირსშესანიშნავ თარიღს მიუძღვნა თავისი ეს ახალი წარმოდგენა.

30 ივნისს საზეიმო ვითარებაში ჩაეყრება საფუძველი მ. გორკის ძეგლს, რომელიც თბილისში აღიმართება.

სტუმრები ნახავენ ქართველი ხალხის ისტორიულ ძეგლებს, გაეცნობიან ჩვენი ხალხის შრომასა და კულტურულ ცხოვრებას.

ქართველი ხალხისა და რუსი ხალხის კულტურული ურთიერთობის მატიანეში განსაკუთრებული და განუმეორებელი ადგილი უჭირავს მ. გორკის. დიდი მწერალი საქართველოს თავის მეორე სამშობლოდ თვლიდა. ამიტომ ასე სიხარულით, კანონიერი სიამაყის გრძნობით ეგებება ქართველი ხალხი თავისი დიდი, უკვდავი მეგობრის საიუბილეო დღეებს.

„მე ესოდენ გულმხურვალედ მიყვარს გრანდიოზული სილამაზისა და ძალის გამომხატველი ეს მშვენიერი მხარე, თოვლით დაფარული მისი მთები, სწრაფი, მოკუხჩუხე მდინარეებისა და ლამაზი, ამაყი შვილების მხიარული ხმაურით აღსავსე ჭალებითა და ხეობებით".

მაქსიმ გორკის ამ დიდ სიყვარულს დიდი სიყვარულითვე უპასუხებს ქართველი ხალხი.

კეთილი იყოს, მეგობრებო, თქვენი მობრძანება ქართულ მიწაზე.

საბჭოთა ჯანმრთელობის დაცვა 50 წლისაა

24 ივნისს ფილარმონიის საზაფხულო თეატრში გაიმართა თბილისის საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა საზეიმო კრება, რომელიც მოიწვიეს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ და საქართველოს მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურმა კომიტეტმა. საღამო მიეძღვნა საბჭოთა ჯანმრთელობის დაცვის 50 წლისთავს.

სხდომის პრეზიდიუმში იყვნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **დ. სტურუა,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ვ. სირაძე,** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე,** საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივანი **შ. ყარყარაშვილი,** თვალსაჩინო მეცნიერები, სამკურნალო პროფილაქტიკური დაწესებულებათა ხელმძღვანელები, ექიმები, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

მედიკთა დღისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა

სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა **ლ. საყვარელიძემ.**

შეკრებილთა ტაშის გრიალში არჩეულ იქნა საპატიო პრეზიდიუმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს შემადგენლობით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვ. სირაძემ წაიკითხა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მისალმება რესპუბლიკის მედიცინის მუშაკებისადმი.

საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ **ლ. ქავთარაძემ** გააკეთა მოხსენება „საბჭოთა ჯანმრთელობის დაცვა 50 წლისაა".

სხდომის მონაწილეებს მიესალმნენ პიონერები.

დასასრულ გაიმართა კონცერტი. (საქდესი).

გაზის კიდევ ერთი საგადო

ორენბურგის ოლქის სამხრეთ ნაწილში აღმოჩნდა გაზის კიდევ ერთი საბადო — კრასნოიარსკოე. სათბობის მარაგი მდებარეობს 2.360 მეტრ სიღრმეზე. ამ ოლქში ეს არის გაზის მეექვსე დიდი საბადო. იგი დაზორებულია უკვე ცნობილ საბადოებს. **ამრიგად, აღნიშნავს თავის დეპეშაში ორენბურგიდან საკავშირო კორესპონდენტი, დადასტურდა გეოლოგთა პროგნოზები, რომ ორენბურგის ველების ყიდი შეიცავს გაზის უმდიდრეს მარაგს.** ახლახან აღმოჩენილ კრასნოხოლმსკ-ორენბურგის ფართობის მარაგი აღემატება ცნობილ ღაზლის საბადოს. ახლა სასწრაფოდ მუშავდება ამ საბადოს საექსპლოატაციოდ გადაცემის პროექტი. ორენბურგის გაზს პირველად კუიბიშევი მიიღებს, შემდეგ ვოლგისპირეთის სხვა ქალაქები.

გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სს რესპუბლიკაში მცხოვრები მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მიენიჭოთ „გმირი დედის" საპატიო წოდება და გადაეცეთ „**გმირი დედის**" ორდენი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელები დედებს, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ათი შვილი:

1. **ახმედოვას** ბალახანის ორუჯ ყზის — დასახლების, მარნეულის რაიონის სოფელ ტალეულო.

2. **ბუდნიკოვას** ვართუშ აკოფის ასულს — მიასნიკოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, აფხაზეთის ასსრ გუდაუთის რაიონი.

3. **ისანოვას** გულსანამ ყალი ყზის — დიასახლისს, ქალაქი მარნეული.

4. **ჩხეიძეს** ეკატერინა ალექსანდრეს ასულს — ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, ზესტაფონის რაიონი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი,

1968 წლის 19 ივნისი.

სსრ კავშირში მოსახლეობის სამედიცინო დახმარების მდგომარეობა და ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესების ღონისძიებები

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის დეპუტატ ბ. ვ. პეტროვსკის მოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო!

საბჭოთა ხალხი, წარმატებით აზრიელებს რა პარტიის XXIII ყრილობის ისტორიულ გადწყვეტილებებს, მტკიცე რწმენით აღსავსე შეეგება კომუნისტური საზოგადოების დამკვიდრებისა და განვითარების საუკუნის მეორე ნახევარს. მომავლისათვის ამ ტიტანურ ბრძოლაში მოპოვებული უძაგალითო გამარჯვებანი მშრომელი მასების მატერიალური და სულიერი ცხოვრების ძირეული გაუმჯობესების საქმეში.

„ყველაფერი ადამიანისათვის, ადამიანის კეთილდღეობისათვის“ — ასეთია ჩვენი პარტიისა და მთავრობის დევიზი. საბჭოთა ადამიანების ბედნიერებისათვის განსაკუთრებით სწრაფი ტემპებით ვითარდება ჩვენი ქვეყნის მრეწველობა და სოფლის მეურნეობა. სრულყოფილი ხდება მეცნიერება და ტექნიკა. ფართო მასშტაბებით ხორციელდება საბინაო მშენებლობა, შენდება ახალი სკოლები. საჯარო ყოფილები და სოციალურ-კულტურული დაწესებულებანი.

სოციალიზმის ერთ-ერთი უდიდესი მონაპოვარია ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვის საბჭოთა სისტემა. საბჭოთა ხელისუფლების პირველ, თვეებში ვ. ი. ლენინის უშუალო მონაწილეობით შექმნილი ეს სისტემა ახლა პარტიისა და მთავრობის დაუცხრომელი ზრუნვის შედეგად ჯანმრთელობის მძლავრ ინდუსტრიად გადაიქცა. სულ ცოტა ხნის წინათ მედიცინის მუშაკთა მრავალათასიანმა რაზმმა მთელ ხალხთან ერთად დიდი აღფრთოვანებით აღნიშნა საბჭოთა ჯანმრთელობის დაცვის ნახევარსაუკუნოვანი გზა. მისი მიღწევები იწვევს დიდი სიამაყის გრძნობას, მხურვალე სურვილს მოვიპოვოთ ახალი გამარჯვებანი საბჭოთა ადამიანების ჯანმრთელობის განმტკიცების საქმეში.

სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სისტემა ნამდვილად საერთოსახალხო, სახელმწიფოებრივი საქმეა. ხალხს ჯანმრთელობის დაცვის დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის დადასტურებაა ის, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო — ჩვენი სახელმწიფო ხელისუფლების, უმაღლესი ორგანო — დღეს ფართო პლანით განიხილავს ამ საკითხს.

საბჭოთა ჯანმრთელობის დაცვის თანამედროვე მდგომარეობისა და მის წინაშე მდგომი ამოცანების სწორად შეფასებისათვის საჭიროა მოკლედ შევეხოთ წარსულს.

მძიმე მემკვიდრეობა გვერგო ცარიზმისაგან. ნგრევა. შიმშილი, ეპიდემიები, მოსახლეობის დაავადება და სიკვდილიანობის მაღალი დონე. რევოლუციამდე ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა მშრომელთა ჯანმრთელობის სახელმწიფო დაცვაზე. მუშათა და გლეხთა სიცოცხლის სამუალო ხანგრძლივობა ცოტათი თუ აღემატებოდა 30 წელს. სამედიცინო დახმარების ნაკლებობის გამო განსაკუთრებით ატანჯებოდნენ ბავშვები.

საჭირო გახდა პარტიისა და ხალხის დიდი მეცადინეობა ჩამორჩენილობისა და უკულტურობის აღმოსაფხვრელად, რომლებიც ხელს უშლიდნენ ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების ნორმალურ განვითარებას.

1917 წლის ოქტომბრის შემდეგ ჩვენმა საბჭოთა სახელმწიფომ პირველმა კაცობრიობის ისტორიაში იკისრა უალრესად ჰუმანური ამოცანა — ეზრუნა ხალხის ჯანმრთელობის დაცვისათვის, საზოგადოების თითოეული წევრის უფასო კვალიფიციური სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფისათვის.

და მართლაც, სოციალისტური წყობილების პირობებში ჯანმრთელობა არის არა მარტო პირადი კეთილდღეობა, პირადი საქმე, არამედ აგრეთვე საზოგადოებრივი კეთილნება, ხოლო მისი დაცვა — უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო ამოცანა.

განვლო ათიოდმა წლებმა. ჩვენმა ხალხმა პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ააშენა სოციალიზმი.

იქმნებოდა და მტკიცდებოდა ჯანმრთელობის დაცვის ახალი სოციალისტური ორგანიზაცია, რომელსაც საფუძვლად დაედო დემოკრატიული პრინციპები: ყველასთვის მისაწვდომი უფასო კვალიფიციური სამედიცინო დახმარება, გეგმიანობა, დაავადებათა პროფილაქტიკა. მედიცინის მეცნიერების ყველა მიღწევა ჩადგა ხალხის სამსახურში!

მეტადრე სასიხარულოა აღვნიშნოთ ჯანმრთელობის დაცვის განსაკუთრებული ზრდა მოკავშირე რესპუბლიკებში, რომლებიც წარსულში რუსეთის იმპერიის ჩამორჩენილ განაპირა მხარეებს წარმოადგენდნენ. ოქტომბრის რევოლუციამდე ამ რესპუბლიკების მკვიდრ მოსახლეობას ფაქტიურად არ ჰქონია სამედიცინო დახმარება. ამჟამად რესპუბლიკებში ჯანმრთელობის დაცვა გადაიქცა კარგ სამედიცინო სამსახურად, რომელიც დიდ როლს ასრულებს ხალხის სოციალისტური კულტურის განვითარებასა და ჯანმრთელობის დაცვაში. ამ რესპუბლიკებს ჯანმრთელობის დაცვის ძირითადი მაჩვენებლები აღემატება ბევრი კაპიტალისტური ქვეყნის ანალოგიურ მაჩვენებლებს.

ისტორიულად მოკლე ვადაში ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა ჯანმრთელობის დაცვის მტკიცე მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, წარმატებით გადაიქცა სამედიცინო კადრების მომზადების პრობლემა. სოციალისტური ჯანმრთელობის დაცვა, უფრო მეტად, ვიდრე შედიცინის რომელიმე სხვა არსებული სისტემა, შეესაბამება მთელი საზოგადოებისა და თითოეული მისი წევრის ინტერესებს.

1968 წლის დამდეგისათვის ჩვენს ქვეყანაში იყო 2 მილიონ 400 ათასი საავადმყოფო საწოლი, რაც ყოველ 10.000 მცხოვრებზე საშუალოდ 101 საწოლს შეადგენს. ეს უაღრესად მაღალი მაჩვენებელია განვითარებულ ქვეყნებს შორის. ახლა ჩვენში პასუხსაგებ ვახტზე დგას 600 ათასი ექიმი, ანუ 25 ექიმზე მეტი 10.000 მოსახლეზე. ექიმთა რაოდენობით საბჭოთა კავშირი ბევრად უსწრებს განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს.

ფართო სოციალურ-ეკონომიური და სამედიცინო ღონისძიებების შედეგად სსრ კავშირში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ხალხის ჯანმრთელობის მდგომარეობა.

რევოლუციამდელ პერიოდთან შედარებით საერთო სიკვდილიანობა თითქმის ოთხჯერ შემცირდა. სსრ კავშირი ბახდა მოსახლეობის ყველაზე დაბალი სიკვდილიანობის ქვეყანა. ბავშვთა სიკვდილიანობა შემცირდა 10-ჯერ და მეტად. სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა გაიზარდა ერთიანად და უფრო მეტად — ანუ 70 წლამდე.

საბჭოთა მედიცინამ ღირსეულად გადაიტანა 1941-1945 წლების დიდი სამამულო ომის მკაცრი განსაცდელი. დაკრძალთა 72 პროცენტი ექიმების, მედიცინის დების, სანიტრების თავდადებული შრომის მეოხებით მწყობრში დაბრუნდა. ომიანს ისტორიაში პირველად მოხერხდა ზურგისა და არმიის დაცვა საშიში ეპიდემიებისაგან.

ჩვენს ქვეყანაში წარმატებით ებრძვიან ინფექციურ და სხვა დაავადებებს. ისტორიულად მოკლე დროში. ლეკვიდირებულია ინფექსაშობი ინფექციები, როგორიც არის ყვავილი, შავი ჭირი, ქოლერა, პარაზიტარული ტიფები. პრაქტიკულად წარსულს ჩაბარდა მალარია და ტრაქომა, აღმოფხვრილია პოლიომიელიტი. ძალე მოისპობა ფიფთერია. მკვეთრად შემცირდა ბრუცელოზით, ყოვანახველით დაავადება, მცირდება რეგმატიზმი, ტუბერკულოზი და სხვა დაავადებანი. მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესებაში ასეთი სარკანი, კარდიანალური ცვლილებანი არც ერთ კაპიტალისტურ ქვეყანას არა პქონია და არა აქვს!

ჯანმრთელობის დაცვის სამსახური უდიდეს პროფილაქტიკურ მუშაობას ეწევა. ჯანმრთელ ადამიანთა სულ უფრო მეტ კონტინგენტს უწევენ დისპანსერულ მეთვალყურეობას. მათ შორის არიან ბევრი პროფესიის მუშები, დიდი სამამულო ომის ინვალიდები, ბავშვები, მოზარდები და ორსული ქალები.

დისპანსერულ აღრიცხვაზე არიან რევმატიზმით, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულით, დიაბეტით, გლაუკომითა და სხვა ქრონიკული ავადმყოფობებით დაავადებულნი. ყოველწლიურად ფართოვდება პროფილაქტიკური გასინჯვა ავადმყოფობის გამოვლინებისა და იმ მიზნით, რომ დროულად განკურნოთ მოახლოებული ავადმყოფობა და აღრეულ სტადიაში ქრონიკულად ავადმყოფებად სიმსივნეებისა და სხვა დაავადებებს.

ყოველივე ეს ხელს უწყობს იმას, რომ დროულად განეახორციელოთ სამკურნალო და გამოჯანსაღებელი ღონისძიებანი, ჯანმრთელობა შეეუნარჩუნოთ და განვამტკიცოთ საბჭოთა ადამიანებს.

ამხანაგებო!

საბჭოთა ხელისუფლების დიდმნიშვნელოვან ღონისძიებათა შორის, რომელთა მიზანია მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვა, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ბრძოლას დასახლებული პუნქტების კარგი სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობისათვის, შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის. საბჭოთა ადამიანის ჯანმრთელობა, მისი სიცოცხლისა და შრომისუნარიანობის გახანგრძლივება განუხრელად დაკავშირებულია ბუნების დაცვასთან, ატმოსფერული ჰაერისა და წყალსაცავების გაჭუჭყიანების თავიდან აცილებასთან. ახლა ამ ამოცანას უპირველესი სახელმწიფო მნიშვნელობა ენიჭება.

მთელ რიგ კაპიტალისტურ ქვეყნებში განიხილავენ ატმოსფეროსა და წყალსაცავების გაჭუჭყიანებასთან დაკავშირებულ პრობლემებს. მაგრამ კაპიტალისტურ სისტემას თავისი არსის გამო არ შეუძლია განახორციელოს რადიკალური ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ბუნების ქმედითს დაცვას.

საბჭოთა კავშირში მრეწველობის ნარჩენებით გარემოს გაჭუჭყიანებისაგან დაცვის საკითხები პარტიისა და მთავრობის ყურადღების ცენტრშია. აკრძალულია სამრეწველო ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემა, თუ არ დამთავრებულა საწმენდ ნაგებობათა მშენებლობა. დიდმა ასიგნებებმა, რომლებიც გამოიყოფა საწმენდ ნაგებობათა მშენებლობისათვის, წარმოების კულტურის ამაღლებამ, მკაცრმა კონტროლმა ტექნოლოგიური პროცესების დაცვისადმი უკვე ახლა შესაძლებელი გახადა მნიშვნელოვნად გაგვეუმჯობესებინა ჩვენი ქვეყნის ბევრი მდინარის სანიტარული მდგომარეობა.

საბჭოთა კავშირი მსოფლიოში პირველი ქვეყანაა, სადაც დაწესებულია დასახლებული ადგილების ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ხღვრულად დასაშვები კონცენტრაციები.

იმ გარემოებამ, რომ ამ დიდმნიშვნელოვან პრობლემას უურადღებით ეკიდებიან პარტიული და საბჭოთა ორგანონები, საწარმოთა ხელმძღვანელები, ჯანმრთელობის დაცვის ორგანოთა თანმიმდევრულმა საქმიანობამ შეამცირა ატმოსფეროს გაჭუჭყიანება მოსკოვში, ლენინგრადში, ყაზანში, სვერდლოვსკსა და სხვა სამრეწველო ცენტრებში.

სანატარულ-ტექნიკური კეთილმოწყობა, თანამედროვე დაგეგმვა, გაჭუჭყიანებისაგან ატმოსფერული ჰაერისა და წყალსატევების დაცვის მდგომარეობა ბევრად განსაზღვრავს ჩვენი ქალაქების, დაბებისა და სოფლების გარეგნულ სახეს. წლითიწლობით სულ უფრო მეტ ქალაქში იყენებენ სათბობად გაზს, ფართოდება კარგი ცენტრალიზებული წყალმომარაგება და კანალიზაცია, იზრდება წყლის მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე.

მიუხედავად ამისა, მიღწეულს მაინც ვერ დავჯერდებით. უფროდღეთდ ვერ დავმოვებთ იმ ფაქტს, რომ ზოგიერთ ქალაქში ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად ჭუჭყიანდება ჰაერი. მაგალითად, ნოვოკუზნეცკში ამ ბოლო დრომდე კვლავ მაღალია ატმოსფერულ ჰაერში მტვრისა და ბუჭყის სხვა ელემენტების შემცველობა. ეს დაკავშირებულია მთელი რიგი ქარხნების გამწმენდ მოწყობილობათა ცუდ მშენებლობასთან.

ატმოსფეროს აბუჭყიანებენ კუზნეცკის მეტალურგიული კომბინატის სამრეწველო ნარჩენები. არ ხდება იმ სახსრების ათვისება, რომლებიც ყოველწლიურად გამოიყოფა ატმოსფეროს გამაჭუჭყიანებელი ნარჩენების გასაუვნებელებელ ნაგებობათა მოსაწყობად; ზარმან, ერთი საამქროს მაგალითით, 527 ათასი მანეთიდან გამოიყენეს მხოლოდ 58 ათასი მანეთი.

დღემდე ვერ ასრულებს საწმენდ ნაგებობათა მშენებლობის გეგმას კამენსკის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატის ხელმძღვანელობა.

მთელ რიგ რაიონებში (ბერეზნიკი, ძერჟინსკი) გადაწყვეტილი არ არის ქიმიური მრეწველობის საწარმოთა იმ ნარჩენების უტილიზაციისა და გაუვნებლების პრობლემა, რომლებიც უშუალოდ ნიადაგში ხვდებიან და აბუჭყიანებენ მას.

სამინისტროთა და საწარმოთა ხელმძღვანელებმა დაუყოვნებლივ უნდა განახორციელონ ღონისძიებანი ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. თავის მხრივ ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები ვალდებული არიან კიდევ უფრო დიდი მომთხოვნელობა გამოიჩინონ სამრეწველო საწარმოთა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებისადმი და მოსთხოვონ პასუხი იმათ, ვისაც ბრალი მიუძღვის ჰაერის, ნიადაგისა და წყლის გაჭუჭყიანებაში.

მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და ტრანსპორტის განვითარება ახალ სერიოზულ და ძნელ ამოცანებს უსახავს მედიცინას. მარტო ერთი საკითხი მრავალთაგან — ბრძოლა ხმაურის წინააღმდეგ მრეწველობასა და ყოფაცხოვრებაში — მოითხოვს ყველა სამინისტროსა და საწარმოს განსაკუთრებულ ყურადღებასა და მუშაობას, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და მთელი მოსახლეობის ფართოდ ჩაბმას ამ მუშაობაში.

ბუნება აღამაზებს ადამიანის ცხოვრებას, კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენს მის ჯანმრთელობაზე და ამიტომ ბუნების სიმდიდრეთა — ჰაერის, წყლისა და ნიადაგის, ტყეების დაცვა უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი საქმეა!

საბჭოთა სანიტარული სამსახურის ამოცანები მეტად დიდი და პასუხსაგებია. გარდა ბუნების დაცვისა, საჭიროა გადაკეთრთ მიკრობებითა და მავნე ქიმიური მინარევებით გაჭუჭყიანებისაგან პროდუქტების დაცვის საკითხი, შევიმუშაოთ მოსახლეობის სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებისა და პროფესიებისათვის რაციონალური კვების სქემები და ნორმები, მკაცრად გადევნოთ თვალი ქვეყნის ეპიდემიოლოგიურ კეთილდღეობას. ყველაფერი ეს ხორციელდება სპეციალური სამეცნიერო ინსტიტუტების, ლაბორატორიებისა და სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სადგურების დიდ ქსელში, რომლებიც ახლა დაახლოებით ხუთი ათასზე მეტია.

ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო დიდ ყურადღებას უთმობს მუშაობის ამ ნაწილს და ახორციელებს სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სადგურების განმტკიცების, მათი აღჭურვის გაუმჯობესებისა და სანიტარიი ექიმის კვალიფიკაციისა და ავტორიტეტის ამაღლების ღონისძიებებს.

ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებსა და დაწესებულებებს, ყველა მედიცინის მუშაკს თავიანთ საპატიო მოვალეობად მიაჩნიათ სამედიცინო და ჰიგიენური ცოდნის პროპაგანდა მოსახლეობაში.

სანიტარული კულტურის დონის ამაღლებისათვის ბრძოლაში მონაწილეობენ ბევრი სამინისტრო. უწყება და საზოგადოებრივი ორგანიზაცია, წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირი, სრულიად საკავშირო საზოგადოება „ცოდნა“.

მოსახლეობაში ჰიგიენური ცოდნის გავრცელების დადებითი გამოცდილება შეიძინეს დნეპროპეტროვსკის ოლქმა, სპერდლოვსკის, ლენინგრადის, მურმანსკის ოლქებმა, ლატვიის სს რესპუბლიკამ და სხვ.

ვიყენებთ მუშაობის ახალ ფორმებს: სახალხო უნივერსიტეტებს (ახლა ჩვენს ქვეყანაში 2 ათასზე მეტი ასეთი უნივერსიტეტია), ჯანმრთელობის სკოლებს. მეცნიერები და ექიმები ფართოდ აეკიდებენ მასებში სამედიცინო ცოდნის, პოპულარიზაციას უშვენენ მეცნიერების უკანასკნელ მიღწევებს, ესაუბრებიან დაავადებათა თავიდან აცილებისა და მკურნალობის ახალი გზების ძიებაზე. ცხოვრება მოითხოვს კიდევ უფრო ავამაღლოთ სამედიცინო პროპაგანდის იდეურ-პოლიტიკური და მეცნიერული დონე, გავხადოთ იგი უფრო თვალსაჩინო, კონკრეტული, გასაგები, ფართო მონაწილეობა მივიღებინოთ ამ საქმეში ყველა საბჭოთა მეცნიერ-მედიკოსი და ექიმმა.

ბაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მთელი ხალხისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სამედიცინო და ჰიგიენურ ცოდნას. იგი საშუალებას აძლევს საბჭოთა ადამიანს უურადღება მიაქციოს ავადმყოფობის ადრეულ სიმპტომებს და მიმართოს პოლიკლინიკას, შექმნას ჰიგიენური პირობები ოჯახში და საამქროში, პირველი სამედიცინო დახმარება გაუწიოს და გადაარჩინოს ამხანაგები და ნათესავები სასწრაფო შემთხვევებში.

კომუნისტური პარტიისა და მთავრობის განუწყვეტელი ზრუნვა ხალხის ჯანმრთელობაზე მკაფიოდ ვლინდება საავადმყოფოებისა და პოლიკლინიკების ქსელის ფართო განვითარებით, ჯანმრთელობის დაცვისათვის საჭირო სახელმწიფო ასიგნებათა ზრდით.

რევოლუციამდელ რუსეთში ჯანმრთელობის დაცვის ხარჯების საერთო თანხა წელიწადში შეადგენდა მხოლოდ 91 კაპიკს 1 კაცზე. სოციალისტური წყობილება უზრუნველყოფს საბჭოთა ადამიანების ჯანმრთელობის დაცვისათვის განკუთვნილი ხარჯების სწრაფ ზრდას. მაგალითად, 1968 წელს ჯანმრთელობის დაცვის ასიგნებებმა სახელმწიფო ბიუჯეტით მიაღწია 8 მილიარდ მანეთზე მეტს, მაშასადამე, ხარჯები ერთ კაცზე შეადგენს თითქმის 34 მანეთს.

თუ შეეჯამებთ სახელმწიფოს ხარჯებს ისეთი მიზნებისთვის, როგორიცაა უშუალოდ სამედიცინო დახმარება, აგრეთვე დახმარება დროებითი შრომის უუნარობის, ორსულობისა და მშობიარობის გამო, გასაცემად, მშრომელთა სანატორიულ-საკურორტო მკურნალობა და სამკურნალო კვება, აგრეთვე ბავშვთა მომსახურება (სბავშვო დაწესებულებებში, პიონერთა ბანაკებში და სხვ.), ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის საჭიროების დანახარჯები შეადგენს საზოგადოებრივი მოხმარების ფონდების დაახლოებით 50 პროცენტს.

1967 წელს ოთხსულიანი ოჯახის ჯანმრთელობის დაცვას საზოგადოებრივი ფონდებიდან 185 მანეთი მოხმარდა.

შეადარეთ უფასო სამედიცინო დახმარებით უზრუნველყოფილი საბჭოთა ადამიანის მდგომარეობა უბრალო ადამიანთა ჯირ-ვარამს, მაგალითად, ეკონომიურად ისეთ განვითარებულ ქვეყანაში, როგორიც ამერიკის შეერთებული შტატებია. მარტო ერთ დღეს ყოფნა ნიუ-იორკის საავადმყოფოში ამერიკელ ავადმყოფს უჯდება დაახლოებით 60 დოლარი, ხოლო მკურნალობის ღირებულება ზოგიერთი მძიმე დაავადების დროს, განსაკუთრებით როცა საჭიროა ოპერაცია, რამდენიმე ათას დოლარს აღწევს.

სოციალისტური ჯანმრთელობის დაცვა, წყვეტს რა მაღალუმანური ამოცანებს — უზრუნველყოფს დაავადებისა და სიკვდილიანობის შემცირებას, ხელს უწყობს ადამიანთა ფიზიკური და ფსიქიური ჯანმრთელობის გაუმჯობესებას, სიცოცხლის ხანგრძლივობისა და აქტიური დღეგრძელობის გადიდებას, ამით ქმნის დიდმნიშვნელოვან წანამძღვრებს საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და ეროვნული შემოსავლის ზრდისათვის.

ამას მოწმობს ბევრი ეკონომიური გამოკვლევის შედეგები.

მოსახლეობისადმი სამკურნალო-პროფილაქტიკური დახმარების შემდგომი აღმავლობისათვის უმნიშვნელოვანესი, განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს ჯანმრთელობის დაცვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას და უწინარეს ყოვლისა საავადმყოფოებისა და პოლიკლინიკების ქსელის გაფართოებას.

უნდა აღინიშნოს, რომ 1941-45 წლების დიდი სამამულო ომის დროს ჩვენში დაინგრა და დაზიანდა 40.000 საავადმყოფო და სხვა სამკურნალო დაწესებულება, რომლებიც ომისშემდგომ წლებში კვლავ ავაშენეთ ან აღვადგინეთ; აშენდა მრავალი ახალი საავადმყოფო, პოლიკლინიკა, დისპანსერი და სხვა ობიექტები ჩვენი ქვეყნის უზარმაზარი ტერიტორიის ყველა რაიონში სამედიცინო დახმარების ორგანიზაციის გათვალისწინებით.

ამიტომ ბევრი პატარა საავადმყოფოსა და მოძველებული ნაგებობის არსებობა არ იძლევა საშუალებას ყველგან სწორად მოეწყოს ავადმყოფთა მკურნალობა ყველა სპეციალობის მიხედვით.

ამის შედეგად საჭირო ხდება ბევრი ავადმყოფის გაგზავნა მსწავლ საქალაქო ცენტრებში, რაც იწვევს ქალაქების სამკურნალო დაწესებულებათა გადატვირთვას.

ამჟამად ყველგან სრულად როდი კმაყოფილდება მოსახლეობის მოთხოვნილება სტაციონარულ დახმარებაზე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის დირექტივების შესაბამისად 1970 წლის დამლევისთვის საავადმყოფო საწოლთა საერთო რიცხვი ჩვენს ქვეყანაში უნდა გადიდდეს 2 მილიონ 680 ათასამდე, ესე იგი ყოველ 10.000 მოსახლეზე უნდა მოდიოდეს 110 საწოლი.

საბჭოთა ხალხის კეთილდღეობისა და კულტურის დონის ამაღლების, სამედიცინო მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების შედეგად ისახება გადაუდებელი ამოცანა — არა მარტო გავადიდოთ სამედიცინო დახმარების მოცულობა, არამედ კიდევაც უფრო ავამაღლოთ მისი ეფექტიანობა.

ჯანმრთელობის დაცვის პროგრესი თანამედროვე ეტაპზე უშუალოდ დაკავშირებულია სპეციალიზაციასთან, რომელიც ასახავს თანამედროვე მედიცინის განვითარების ძირითად კანონზომიერებას.

საჭიროა თერაპიული, ქირურგიული და სხვა სახეობის სამედიცინო დახმარების სპეციალიზაცია, რადგან სამედიცინო მეცნიერების თანამედროვე დონის დროს შეუძლებელია წარმოვიდგინოთ, რომ მხოლოდ ფართო პროფილის ერთმა ექიმმა სავსებით უზრუნველყოს მაღალკვალიფიციური დახმარება ავადმყოფებისადმი, როცა ამას სხვადასხვა ისეთი დაავადებანი, რომლებიც ზოგჯერ მეტად რთულია დიაგნოსტიკისა და მკურნალობისათვის.

სავსებით ცხადია, რომ სამედიცინო დახმარების შემდგომი სპეციალიზაცია რთული პროცესია, რომელიც მოითხოვს გარკვეულ პირობებს, შესაბამის ორგანიზაციულ ფორმებსა და მატერიალურ ხარჯებს.

საბჭოთა ჯანმრთელობის დაცვისა და საზღვარგარეთის მედიცინის გამოცდილება უდავოდ მოწმობს, რომ 600-1000 და მეტ საწოლიანი დიდი მრავალპროფილიანი სპეციალიზებული საავადმყოფოების (ცენტრების) შექმნა საშუალებას გვაძლევს უკეთ უზრუნველვყოთ დიაგნოსტიკის თანამედროვე რთული პროცესებიდ, ეფექტიანი მკურნალობა, ავადმყოფთა შრომისუნარიანობის აღდგენა.

დიდ საავადმყოფოებში იქმნება პირობები საწოლთა ფონდის, ექიმთა კადრების, სამედიცინო ტექნიკის ეკონომიურად და რაციონალურად გამოყენებისათვის.

უკანასკნელი 5 წლის მანძილზე ბევრ ქალაქში ამენდა 600 და მეტ საწოლიანი დიდი მრავალპროფილიანი საავადმყოფოები. ახლა ასეთივე საავადმყოფოები შენდება ბორკში, ნოვოსიბირსკში, კალინინში, თბილისში, ტაშკენტსა და სხვა ქალაქებში, მაგრამ რესპუბლიკების მოთხოვნილებას უფრო სრულად დაკმაყოფილება ასეთი სამკურნალო-პროფილაქტიკური სპეციალიზებული დაწესებულებებით შეიძლება, თუ ავაშენებთ კიდევ სულ ცოტა 30 დიდ საავადმყოფოს, სამაო რაოდენობით ავაგებთ დისპანსერებსა და სხვა სპეციალიზებულ დაწესებულებებს. საჭიროა აგრეთვე სასოფლო რაიონული საავადმყოფოების, ამბულატორიების, სამშობიარო სახლებისა და სხვა ობიექტების გამსხვილება და მშენებლობა.

ჯანმრთელობის დაცვის მეტად მნიშვნელოვანი რგოლია ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დახმარება მოსახლეობისადმი ქალაქებში და განსაკუთრებით სოფლად. პოლიკლინიკები ჩვენ გაცალებით უფრო მეტი გვაქვს, ვიდრე სხვა ქვეყნებს, მაგრამ ამ დახმარებაზე მოთხოვნილება იზრდება, ხოლო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მთელ რიგ დაწესებულებებში ჯერ კიდევ ჩამორჩება თანამედროვე მოთხოვნებს. ეს განსაკუთრებით შესამჩნევია ახალშენებათა ზონებში.

ამასთან მთელ რიგ მოკავშირე რესპუბლიკებში ვერ ახერხებენ მთლიანად აითვისონ კაპიტალური დაბანდებანი, რომლებსაც სახელმწიფო ითვალისწინებს ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების მშენებლობისათვის, ვერ უზრუნველყოფენ აგრეთვე სამედიცინო დაწესებულებათა დროზე გადაცემას საექსპლოატაციოდ. მთელ რიგ შემთხვევებში სახსრები იქსაჭსება ბევრი პატარა ობიექტის მშენებლობისათვის, რის გამო იზრდება დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობა; ვერ იცავენ ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემის ვადებს.

მაგალითად, ყაზახეთის სს რესპუბლიკაში 1968 წელს მშენებარე 115 სამედიცინო დაწესებულებიდან შეჩერებულია 21-ის მშენებლობა. ამავე დროს მიმდინარე წლის სატატულო სიაში შეტანილია 11 ახალი მშენებლობა. 9 წელი შენდება რესპუბლიკაში სამედიცინოს ტექნიკის საავადმყოფო ალმა-ატაში. მოლდავეთის სს რესპუბლიკაში აგრეთვე გაჭიანურდა რესპუბლიკური საავადმყოფოს მშენებლობა. დამაკმაყოფილებლად ვერ სრულდება სამკურნალო დაწესებულებათა კაპიტალური მშენებლობის გეგმა უზბეკეთის, უკრაინისა და სომხეთის რესპუბლიკებში.

ამხანაგო დეპუტატებო!

ოქტომბერი ვარ ასე დიდხანს შეეჩერდე სამედიცინო დაწესებულებათა მშენებლობის ამოცანებზე, რადგან ვითვალისწინებ ამ საკითხის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ჯანმრთელობის დაცვისათვის. მშენებლობამ უფრო სწრაფად და პირველ რიგში უნდა აიაროს საავადმყოფოებისა და პოლიკლინიკების მოხერხებული ინსტანციები, ხოლო საშენ მასალათა მრეწველობისა და ქიმიური მრეწველობის მუშაკებმა უნდა გაუმჯობესონ მოსაპირკეთებელი ფილების, იატაკის საფარის, საღებავების, პლასტმასებისა და სხვა მასალების ხარისხი. უამისოდ შეუძლებელია კარგად მოვაწყოთ თანამედროვე პალატები, სოპერაციოები და ლაბორატორიები, რომლებიც ასე საჭიროა ავადმყოფთა წარმატებით მკურნალობისათვის.

სამედიცინო დაწესებულებათა მშენებლობის საკითხები უნდა იყოს მოკავშირე რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების ხელმძღვანელთა, აგრეთვე მთელი ჩვენი საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში.

ამხანაგებო, უნდა აღვნიშნო, რომ სამედიცინო დახმარების ორგანიზაციაში ჯერ კიდევ გვაქვს სერიოზული ნაკლოვანებანი. მთელ რიგ სამკურნალო დაწესებულებებში დაბალია მუშობის კულტურა, პოლიკლინიკები ადამტვირთულია, ყოველთვის დროულად რიგი ხორციელდება დაავადებულთა, უწინარეს ყოვლისა ქრონიკულად დაავადებულთა ჰოსპიტალიზაცია.

ყველა სამკურნალო დაწესებულება როდია აღჭურვილი საჭირო ინვენტარით, თერმიულით, ჭიქურქლითა და სხვ. მთელ რიგ საავადმყოფოებში ავადმყოფები სამართლიანად უჩივიან კვების ხარისხს, მთელ რიგ რაიონებში ჯერ კიდევ ცოტაა აფთიაქები, რაც აძნელებს მოსახლეობის წამლებით დროზე უზრუნველყოფას. არის შემთხვევები, როცა სამედიცინო პერსონალი უყურადღებოდ იყოდება პაციენტებს.

ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები განახორციელებენ გადამწყვეტ ღონისძიებებს, რათა აღმოფხვრან ეს ნაკლოვანებანი და ხარვეზები მუშაობაში.

სამედიცინო დახმარებისა და საავადმყოფოებისა და პოლიკლინიკების „მიერნული“ ყველა რგოლის სამედიცინო პერსონალის შრომის ორგანიზაციის სრულყოფის შედეგად შეიძლება გაიზარდოს კვალიფიციური სამედიცინო დახმარების მოცულობა.

ამბულატორიებსა და პოლიკლინიკებში უნდა ეწიოს ფიზიკურად ყოველის გაძლიერდეს დიაგნოსტიკური სამსახური და გაფართოვდეს ინსტრუმენტული კვლევის მოცულობა. დღეს პოლიკლინიკა უნდა გახდეს ნამდვილი დიაგნოსტიკური ცენტრი, სადაც იქნება ყველა პირობა, რათა დასვან სწორი და დეტალური დიაგნოზი. ჯერ კიდევ ძანამდე, სანამ ავადმყოფს სტაციონარში მოათავსებდნენ. უნდა გაფართოვდეს შესაძლებლობანი, რათა პოლიკლინიკაში მოეწყოს ფიზიოთერაპიული და ულის პროცედურები, ტალახით მკურნალობა, პატარა ოპერაციები. ეს განტვირთავს ჩვენს საავადმყოფოებს და გაიზრდება უფრო მძიმე დაავადებულთა მიღება.

ამასთან დიდი მნიშვნელობა ექნება შრომის მეცნიერულ ორგანიზაციას სამედიცინო დაწესებულებებში და საანგარიშო-გამოსათვლელ მოწყობილობათა დანერგვას მართვის პროცესებში, დაავადებათა სტატისტიკურ დამუშავებას და საავადმყოფოებს, პოლიკლინიკებსა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების მუშაობის სხვა დარგებს.

სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში უკვე შეიქმნა საანგარიშო-გამოთვლითი ცენტრი. 15 სამეცნიერო ინსტიტუტში მუშაობს საანგარიშო-გამოთვლი თ ი ლაბორატორიები, ანალოგიური ცენტრები საჭიროა რესპუბლიკებში, რაც უახლოეს წლებში მთელ რიგ ღონისძიებებს მოითხოვს.

ჩვენ ვცდილობთ გავზარდოთ საწოლთა ქსელის გამოყენების ეფექტიანობა. ამისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ განვამტკიცოთ საავადმყოფოების კავშირი პოლიკლინიკებთან, უზრუნველვყოთ ლაბორატორიებისა და რენტგენის კაბინეტების ზუსტი მუშ

სსრ კავშირში მოსახლეობის სამედიცინო დახმარების მდგომარეობა, და ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესების ღონისძიებანი

(დასასრული)

მაგრამ ეს მაინც საკმარისი არ არის, რადგან ამჟამად საქმე იხილავს უფრო რაციონალურ, განსაკუთრებით ცილოვანი პროდუქტების კვებას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მზარდი ბავშვის ორგანიზმის ყველა ფიზიოლოგიური მოთხოვნილებანი.

ამიტომ მიგვაჩნია, რომ კვების, ორცხისა და რძის მრეწველობის, ვაჭრობის სამინისტროებმა უნდა გააძლიერონ ყურადღება ამ საკითხისადმი და მთლიანად შეასრულონ ბავშვის კვების პროდუქტების გამოშვების გადიდების დავალებანი.

ამხანაგებო!

სამრეწველო საწარმოებში მოშავეთა ჯანმრთელობის დაცვა წარმოადგენთ რიგ სასოფლო-სამეურნეო სახელმწიფო მეურნეობათა ცალკეულ სფეროებს.

სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო და მოკავშირე რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროები ახორციელებენ ღონისძიებებს იმისათვის, რომ ჩვენი ქვეყნის მსხვილ მრეწველო რაიონებში ფარფლის განვითარდეს საავადმყოფოების, სამედიცინო-სანიტარიული ნაწილების, პოლიკლინიკებისა და ჯანმრთელობის დაცვის სხვა დაწესებულებათა ქსელი, რომ ეს კი შეიძლება უკეთ იყოს ხელმისაწვდომი სამედიცინო დაწესებულებათა და ტექნიკით.

მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეში დიდი როლი ეკუთვნით საბჭოთა პროფკავშირებს. ეს დანტერესებას მრავალი აქტიური საკითხის დადგმაზეთ. ეს ეს ეს

დამსახურებული აღიარება

ქართული სახელოვნების ბევრი საინტერესო ფურცელი დაკავშირებულია გამოჩენილი დრამატურგის **პოლიკარპე კაკაბაძის** სახელთან. უკვე ოთხ ათეულ წელზე მეტია არ ყოფილა თითქმის არც ერთი თეატრალური სეზონი, რომ რესპუბლიკის რომელიმე თეატრს მისი ნაწარმოები არ ჰქონოდეს რეპერტუარში. გარდა ცნობილი კომედიებისა („ცვარუყვარე თუთაბერი", „კოლმეურნის ქორწინება") ქართული სახელმწიფო და სახალხო თეატრები დიდ ინტერესს იჩენენ დრამატურგის ბოლოდროინდელი ნაწარმოებებისადმი, როგორიც არის „კახაბერის ხმალი", „ცხოვრების ჯარა", „ბაგრატ მეშვიდე".

ახლახან ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ რეჟისორმა გ. ლორთქიფანიძემ რუსთავის სახელმწიფო თეატრში დადგა პოლიკარპე კაკაბაძის „კახაბერის ხმალი", ამავე თეატრის სცენაზე მაყურებელი მალე ნახავს „ცვარუყვარე თუთაბერს". ამავე ნაწარმოებს დასადგმელად ამზადებს თბილისის ა. გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო თეატრის კოლექტივი.

ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში სსრ კავშირის სახალხო არტისტმა აკ. ვასაძემ განახორციელა ბ. კაკაბაძის ისტორიული დრამის „ბაგრატ მეშვიდის" პირველი დადგმა.

თბილისის მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სცენაზე მაყურებელი კვლავ ნახავს პოპულარულ კომედიას „კოლმეურნის ქორწინებას".

ამჟამად პოლიკარპე კაკაბაძე მუშაობს ახალ ნაწარმოებზე. ეს არის ხუთმოქმედებიანი ტრაგედია „დიმიტრი თავდადებული".

ლ. ყიფშიძე.

ქართველი მუსიკოსები ლონეცკში

ქართველი მუსიკოსები, მომღერლები, მოცეკვავეები დონბასელ მეშახტეთა და მეფოლადეთა ხშირი სტუმრები არიან. მათი გამოსვლები ხელოვნების მოყვარულთა დიდ ინტერესს იწვევს.

ამას წინათ ქ. დონეცკში სიგასტროლოდ ჩამოვიდნენ დირიჟორი, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ლილე კილაძე და მევიოლინე, რესპუბლიკის სახალხო არტისტი მარინე იაშვილი. მათი მონაწილეობით ფილარმონიის საკონცერტო დარბაზში გაიმართა სიმფონიური მუსიკის კონცერტი. შესრულებულ იქნა საბჭოთა, რუსი და საზღვარგარეთელი კომპოზიტორების ნაწარმოებები, მაყურებლებმა მჭუხარე ტაშით დაჯილდოვეს ქართველი სტუმრების მაღალი საშემსრულებლო ოსტატობა.

თ. ჩოჩია.

ქ. დონეცკი.

იუბილარი სასწავლებელი

ბურჯაანი. (საკ. კორ.). არსებობის 30 წლისთავს ითვლის ველიკანოვის № 13 პროფტექნიკური სასწავლებელი. სკოლაში აღზრდილი ათასობით მექანიზატორი, ავტომძღოლი თუ მშენებელი დღეს წარმატებით იღვწის ჩვენი ქვეყნის ველ-მინდვრებზე. თუ 1938 წლის პირველმა ნაკადმა 200 სპეციალისტი მისცა ქვეყანას, გასულ წელს მათმა რიცხვმა 550-ს მიაღწია. სულ მალე იუბილარი სასწავლებელი ქვეყნის სამსახურში გაუშვებს კიდევ 560 მაღალკვალიფიციურ მექანიზატორსა და მშენებელს.

ლ. ქაბოტინსკი — უძლიერესი

ევროპის ჩემპიონატის დასკვნითს ეტაპზე საბჭოთა შტანგისტებმა გაგვაგარეს. მათ იერიშები მიიტანეს მსოფლიო რეკორდებზე. თუ სტარტზე დიდი წარმატება არ გვჰქონდა, შემდეგ ქვესაშუალო. სამუალო, ქვემძიმე და მძიმე წონებში ზედიზედ ოთხი დიდი ოქროს მედალი მოვიპოვეთ.

ყურადღებას იპყრობდა 24 ივნისის პაექრობა. ამ დღეს ფიცარანგზე გამოდიოდნენ ქვემძიმე წონის შტანგისტები. ჯარიმტრებს საბჭოთა ძალოსანს ი. ტალტსს უწინასწარმეტყველებდნენ. ასეც მოხდა. მან აპიმპაში აჩვენა 170 კილოგრამი, ატაცში — 150 კილოგრამი, აკვრაში — 192,5 კილოგრამი და ერთობის ჩემპიონი გახდა. ი. ტალტსის მიერ სამჭიდში მოგროვილი 512,5 ქილა მსოფლიოს ახალი რეკორდია.

რა თქმა უნდა, ყველაზე საინტერესო იყო ძმიმე წონის შტანგისტების ასპარეზობა, სადაც გამოდიოდა მსოფლიოში ყველაზე ღონიერი კაცი ლ. ქაბოტინსკი. ეს ასპარეზობა შედგა გუშინ და გვიან ღამემდე გაგრძელდა. ლ. ქაბოტინსკიმ სამჭიდში 570 კილოგრამი შეაგროვა და ევროპის ჩემპიონი გახდა. მან ატაცში ახალი მსოფლიო რეკორდი დამყარა — 178 კილოგრამი.

პირველი ნახევარფინალური...

გუშინ მოსკოვში გაიხსნა მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტების პირველი ნახევარფინალური მატჩი ჯადოკაში მსოფლიოს იერიჩემპიონ **მ. ტალსა** და გროსმაისტერ **ვ. კორჩნოის** შორის. გასათამაშებელ ათ პარტიაში გამარჯვებისათვის საჭიროა 5,5 ქულა. ყაიმის (5:5) შემთხვევაში მოიწყობა დამატებითი შეხვედრა.

წოლისყრის შედეგად დღეს პირველ პარტიას თეთრებით ითამაშებს **მ. ტალი.**

მეტოქეთა ადრინდელი შეხვედრების (თუ არ მივიღებთ მხედველობაში ყაიმებს) შედეგია 8:1 **ვ. კორჩნოის** სასარგებლოდ.

ყველა დამარცხება

გუშინ მოსკოვში ქუთაისის ტორპედოელები კვლავ დამარცხდნენ, ამჯერად ადგილობრივ ცსკა-სთან — 1:2.

თამაშის პირველი ნახევარი მასპინძელთა უპირატესობით მიმდინარეობდა. მე-5 წუთზე შეელიატიცკამ შორი მანძილიდან უძლიერესი დარტყმით გახსნა ანგარიში, 43-ე წუთზე კი დუდარენკომ მეორე ბურთი გაიტანა.

მატჩის მეორე ნახევარში ქუთაისელებს მრავალი შესაძლებლობა ჰქონდათ კარის აღებისა, მაგრამ მხოლოდ თამაშის დასასრულს შეძლეს თავი დაეწყვიტათ მშრალი ანგარიშისათვის. გოლი გაიტანა ჭითანავამ.

სსრ კავშირის თასზე

27 და 28 ივნისს უმაღლესი ლიგის გუნდების მონაწილეობით გაიმართება სსრ კავშირის თასის გათამაშების მეთექვსმეტედფინალური მატჩები ფეხბურთში. ეი ამ შეხვედრათა განრიგი:

27 ივნისს — **„დინამო"** (ბათუმი) — **„პახტაკორი"**, **„მოლდოვა"** — **„დინამო"** (მინსკი), **სკა** (კიევი) — **„დინამო"** (ეკრანგადადი), **„ალუზბასი"** (ალმატოვი). — **„ზენიტი"**, **„ურალმაში"** (სვერდლოვსკი) — **„ჩერნომორეცი"**, **„სტროიტელი"** (ეფა) — **„ნეფტჩი"**.

28 ივნისს— **„ზარია"** — **„ტორპედო"** (ქუთაისი), **„დინამო"** (კიევი)— **„სპარტაკი"** (მოსკოვი), **„დინამო"** (ლენინგრადი) — **„შახტიორი"** (დონეცკი), **ცსკა** — **„ლოკომოტივი"** (მოსკოვი), **„ნეფტიანიკი"** (ფერგანა) — **„ტორპედო"** (მოსკოვი), **„დინამო"** (თბილისი) — **სკა** (დონის როსტოვი), **„უუბანი"** — **„დინამო"** (მოსკოვი), **„სპარტაკი"** (სუმი) — **„კარატი"**, **„სტროიტელი"** (აშხაბადი) — **„ერილია სოვეტოვი"**.

მატჩები გაიმართება პირველად დასახელებული გუნდების მოედნებზე.

ერთიანი ბოლოდროინდელი ტურნირი

ამერიკელ ფეხბურთელთა ბოლოდროინდელი ტურნირი, მონაწილეობდნენ მსოფლიოს ჩემპიონი — სსრ კავშირის ნაკრები, ამერიკის შეერთებული შტატების ოლიმპიური გუნდი, იუგოსლავიის ნაკრები და ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდული გუნდი.

ფინიშთან დაუმარცხებლად მივიდნენ სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების გუნდები. სწორედ მათს 24 ივნისის პაექრობას უნდა გადაეწყვიტა პირველობის საკითხი.

დასაწყისში დაწინაურდნენ საბჭოთა კალათბურთელები 10:2, მაგრამ მალე სტუმრებმა წონასწორობა აღადგინეს და შემდეგ მოიგეს ტაიმი 44:37. მეორე ნახევარში ჩვენმა გუნდმა გაათანაბრა ანგარიში და დაწინაურდა კიდევაც 60:59, მაგრამ ეს იყო და ეს ბოლოს ამერიკელებმა ხელთ იგდეს ინიციატივა და გაიმარჯვეს 84:78. ამავე დღეს სსრ კავშირის ახალგაზრდულმა ნაკრებმა დაამარცხა იუგოსლავიის გუნდი 79:73.

ამრიგად, პირველი ადგილი ამერიკელებმა დაიკავეს, მეორე სსრ კავშირის ნაკრებმა, მესამე — ჩვენმა ახალგაზრდულმა გუნდმა.

დღეს მოსკოვში კვლავ შეხვდებიან ერთმანეთს სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების გუნდები.

ბომბარდირები

ამოიწურა საკავშირო ჩემპიონატის მეთხუთმეტე ტურის მატჩები ფეხბურთში. ვინ ითვლებიან დღეისათვის საუკეთესო ბომბარდირებად?

ყველაზე მეტი ბურთი გატანილი აქვს ტაშკენტის „პახტაკორის" ფეხბურთელს ბ. აბდურაიმოვს. მისს აქტივშია 9 გოლი.

მეორე ადგილზეა მოსკოვის ტორპედოელი ე. სტრელცოვი — 7 ბურთი.

ექვს-ექვსი გოლის ავტორები არიან: დ. ვეაუა (ქუთაისის „ტორპედო"), ო. კოპაეევი (დონის როსტოვის სკა), ვ. იანკინი და ვ. ევლენტიევი (ორივე მოსკოვის „სპარტაკიდან").

ქართველი ბელადის ბიოგრაფიისა და ფაქტებისადმი

ერთ-ერთ ბოლო ნომერში „ლიტერატურული საქართველოს" ავტორი ბ. ბ. ბ. ... ...